ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 41

6 მარტი
"___" _____ 2018 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე არსებული თარგის მიერ დაკავებული 345 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.003.092) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გარდენიასთვის" (ს/ნ: 205222025) სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, მე-2 მუხლის მე-13 პუნქტის და მე-8 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე არსებული თარგის მიერ დაკავებული 345 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.16.05.003.092) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გარდენიასთვის" (ს/კ 205222025) თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 14 თებერვლის №06.08.163 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე არსებული თარგის მიერ დაკავებული 345 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.16.05.003.092) შპს „გარდენიასთვის" (ს/ნ: 205222025) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემაზე, გამწვანების და მოვლა-პატრონობის მიზნით.

2. თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაცემის ვადა განსაზღვრულია 1 (ერთი) წლით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე